საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 232

2014 წ. "04" 12

ქ. თბილისი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 7^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2016-2017 სასწავლო წლის დაწყებამდე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის №27 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება გავრცელდეს მხოლოდ იმ სტუდენტებზე რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ჩაირიცხნენ დაწესებულების ინსტიტუციური აკრედიტაციის ვადის გასვლამდე.
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე